საბჭოთა რეპრესიები როგორც კულტურული მეხსიერება და ტრავმა ზაირა არსენიშვილის შემოქმედებაში

ანი ქისტაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ქისტაური, 15.06.2023

აბსტრაქტი

ლიტერატურულ ტექსტებს შეუძლიათ გაამდიდრონ ჩვენი ცოდნა ისტორიული გამოცდილებების შესახებ და როგორც ერთგვარმა არტეფაქტებმა, საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდონ საკვლევი პერიოდის სოციო-პოლიტიკური და კულტურული ფონის შესახებ. ზაირა არსენიშვილის რომანები, - *ვა, სოფელო* და *რეკვიემი* - როგორც მხატვრული დოკუმენტები, მნიშვნელოვანი დაკვირვებების საშუალებას იძლევიან საბჭოთა რეპრესიების შედეგებზე კოლექტიური მეხსიერებისთვის, თერაპიული დავიწყებისა და ტრავმის საკითხების შესახებ.

კვლევის მიზანია ნათელი გახადოს, თუ როგორ რეპრეზენტირდება საბჭოთა რეპრესიები, როგორც კულტურული მეხსიერება და ტრავმა ზაირა არსენიშვილის ჩვენ მიერ შერჩეულ ტექსტებში. აგრეთვე, როგორ აცნობიერებენ მას პერსონაჟები; და რა როლი აქვს გაცნობიერების პროცესს ტრავმის გადალახვის მცდელობისთვის. ნაშრომში გამოყენებულია მეხსიერების კვლევების მიმართულებით არსებული თეორეტიკოსების (იან და ალეიდა ასმანები, ჯეფრი ალექსანდერი, პიერ ნორა, მორის ჰალბვაქსი) თეორიები, რათა გაანალიზდეს, რამდენად/როგორ რეფლექსირებს არსენიშვილის აღნიშნული ნაწარმოებები შერჩეული თეორეტიკოსების დაკვირვებებსა და პროგნოზებს ტრავმის გადალახვის, დავიწყებისა და გაცნობიერების შესახებ.

კვლევით დგინდება, რომ პერსონაჟები, რომლებიც მონაწილეობდნენ გაცნობიერების პროცესში, მეტად აღწევდნენ კათარზისულ ეპიზოდებს და იძენდნენ რეზისტენტულობას ტრავმულ მდგომარეობასთან გასამკლავებლად.

კვლევა ასევე აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტრავმის ენისა და ცნობიერების დონეზე ამოტანა, რათა წარსული წარმატებით დარჩეს უკან მოტოვებული. დგინდება ისიც, რომ ალეიდა ასმანის თერაპიული დავიწყების ტექნიკა სასარგებლო აღმოჩნდება

პერსონაჟებისთვის ხელახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობისთვის. ამასთან, შერჩეული ტექსტების ანალიზი ცხადყოფს ეროვნული, ანტისაბჭოთა სივრცის შექმნის ღირებულებას თვითგაცნობიერების პროექტისთვის.

კვლევას საინტერესო იმპლიკაციები შეიძლება ჰქონდეს კულტურული ანთროპოლოგიისთვისა თუ ზოგადად კულტურის კვლევებისთვის, რადგან გამოკვეთს, რა როლი შეიძლება ჰქონდეს კულტურულ ექსპრესიას (მხატვრულ ტექსტს, ამავდროულად, როგორც დოკუმენტსა და არტეფაქტს) იდენტობის ფორმირების, კოლექტიური კულტურული ტრავმის გაცნობიერებისა და დაძლევის საკითხებში.

საკვანძო სიტყვები: მეხსიერების კვლევები, ზაირა არსენიშვილი, ტრავმა, საბჭოთა რეპრესიები, თერაპიული დავიწყება, კულტურული მეხსიერება, ვა, სოფელო, რეკვიემი.

Abstract

Literary texts can enrich our knowledge of historical experiences and, as a kind of artefacts, provide us with interesting information about the socio-political and cultural context of the research period. Zaira Arsenishvili's novels, "Oh, Village" and "Requiem" - as literary documents, allow for important observations on the consequences of Soviet repressions for collective memory, repressive and therapeutic forgetting and of trauma.

The purpose of the study is to make clear how Soviet repression is represented as cultural memory and trauma in the selected texts of Zaira Arsenishvili. Also, how the characters perceive trauma; And what role does the process of understanding play in trying to overcoming trauma? Different theories are used by existing theorists in memory studies (Aleida and Jan Assmann, Jeffrey C. Alexander, Pierre Nora, Maurice Halbwachs) to analyze how much/how the mentioned works of Arsenishvili reflect the observations and predictions of the selected theorists about overcoming, forgetting and understanding trauma.

Research shows that characters who engage in the process of understanding are more likely to experience cathartic episodes and gain resilience to deal with traumatic situations.

Research also shows how the devaluation of memories makes it difficult to work with trauma. And how important it is to bring trauma to the level of language and consciousness so that the past can be successfully left behind. Aleida Assman's Therapeutic forgetting technique is also found to be useful in allowing characters to give opportunities to start new lives.

In addition, the analysis of the selected texts reveals the value of creating a national, anti-Soviet space for the project of self-understanding.

The research may have interesting implications for cultural anthropology or cultural studies in general, as it highlights the role that cultural expression (literary text, as a document and artifact at the same time) can have in identity formation, understanding and overcoming of collective cultural trauma.

Keywords: Memory studies, Zaira Arsenishvili, Trauma, Soviet repressions, Therapeutic forgetting, Cultural memory, Oh, village, Requiem.